


№ 8
1957
საქართველოს
საბჭოთა
საზოგადოებრივი
საბავშვო
საგაზეთო
საბჭო

გამარჯვების დღია გამატებს
ახალ სიბოძს, ახალ ხალისს,
უველა ქვეყნის მშრომლებო,
დაესწარით მრავალ მაისს!
საბჭოთა
საზოგადოებრივი
საბავშვო
საგაზეთო
საბჭო





2 X 2 = ?

თუ თქვენთან მოვიდა პიროვნება, რომელსაც მიზნად დაუსახავს დაგიტყვიოთ—ორჯერ ორი ოთხიაო, თქვენ მას ალბათ მოთმინებით აუხსნით, რომ კაცობრიობამ ეს პრობლემა დიდი ხნის წინათ წარმატებით გადაჭრა. ვთქვათ, იგივე პიროვნება მეორედ მოვიდა თქვენთან და კიდევ ერთხელ შეეცადა დამტკიცებულის დამტკიცებას. ეპეი არაა, თქვენ მას თავაზიანად სთხოვთ, თავი დაგანებოთ. მაგრამ, თუ ეს პიროვნება ჯიუტად განაგრძობს თავისას, მაშინ, ალბათ, თავაზიანობას თავს დაანებებთ და ამ პიროვნებას ერთ-ორ უკმეხ სიტყვას უთავაზებთ. თუ ასე მოიქცევით, არა გვგონია, ვინმემ გაგამტყუნოთ.

ეს ამბავი კი ზღაპარს გავს, მაგრამ რა ქნას ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარის სტალინის სახელობის კოლმეურნობის წევრმა დავით ნემსაძემ, რომელსაც აგერ უკვე ორი წელია ზღაპრად კი არა, ცხადლივ უმტკიცებენ მოსამართლენი: მართალი ბრძანდებით, ამხანაგო ნემსაძე, თქვენი სარჩელი სამართლიანია, ისიც მართალია, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ჩვენ მაინც დამატებით უნდა შევამოწმოთ, მართლა ოთხია თუ არაო.

თქვენც მართალი ბრძანდებით, პატივცემულნი მოსამართლენო, ისიც მართალია, რომ საქმის გულდაგულ შემოწმება სასამართლოს პირდაპირი ვალია, მაგრამ როცა მოსამართლე იმ ზემოაღნიშნული ზღაპრული პიროვნების როლში გამოდის და ორჯერ ორის კიდევ ერთხელ დამტკიცებას მოითხოვს, აქ უკვე აღარ ვიცით რით გაგამართლოთ.

თუმცა, მოდით საქმე უფრო შორიდან დავიწ-

ყოთ, და თუ ამბავი ამ ზღაპარს დაემსგავსა, აქ ბრალიც იმას დავდეთ, ვისაც ზოგჯერ ეპეი ეპაჩება, ორჯერ ორი ოთხი არ არისო.

საქართველოს უმაღლეს სასამართლოდან არც თუ ისე დაშორებითაა ზესტაფონის სახალხო სასამართლო. ამ სასამართლოში ერთხელ ერთი ახირებული სარჩელი შემოვიდა. დაიბარა სამართალმა მოსარჩელე და მოპასუხე, მოისმინეს და დაადგინეს: თურმე, სოფელ ზედა საქარის ფრუნეს სახ. კოლმეურნეობას ორი წლის წინ კოლმეურნეთათვის ღვინო გამოურთმევია და რუსეთის მხარეს წაუღია სარეალიზაციოდ. ლიტრა ღვინო 22 მანეთად გაყიდულა. ხარჯი უნაგარიშიათ, დაურიცხიათ, გადმოურიცხიათ და ყოველ კოლმეურნეს ლიტრაზე 17 მანეთი რგებია. ეს ქალაღზე, როცა საქმე ანგარიშსწორებაზე მისულა, დაუბარებია თავმჯდომარეს კოლწევრები და უთქვამს: ზესტაფონში ლიტრა ღვინო 9 მანეთი ღირს. გენებავთ, 9 მანეთობაზე წაიღეთ, არა და—მიჩვილეთო.

—კი მაგრამ, პატივცემულო დავით დათიაშვილო, —კადრეს თავმჯდომარეს კოლწევრებმა, —თქვენ ხომ ღვინის ფასი 17 მანეთობაზე გაინაღდეთ, თქვენმა ნათესაობამაც ასე გაინაღდა, ჩვენმა ბუხპალტერმა ვაჟა ფერაძემაც, მტკის მთავარმა ბუხპალტერმა გაბრიეძემაც, ჩვენ რაღა დავაშავეთო?

—ის დააშავეთ, რომ მე თქვენი არჩეული თავმჯდომარე ვარ, ასე მნებავს და, თუ გსურთ, მიჩვილეთო.

მოისმინა მოსამართლემ ყოველივე ეს, გაუკვირდა ასეთი ახირება თავმჯდომარისა და თქვა: კაცი რომ ნუნუას მიეძღება, ღვინის ძალამ ბევრი ბევრი მეორე დღემდე იმოქმედოს, იმ ღვინის გაყიდვიდან ორი წელი გასულა და ჩვენს თავმჯდომარეს ეს რა ემართებაო?

—ის მემართება, რომ სიფხიზლეს ვიჩინო! — თქვა თავმჯდომარემ. არ დაიჯერა სამართალმა თავმჯდომარის სიფხიზლე, საქმე ასწონ-დასწონა და თქვა: ეს საკითხი ისევე ნათელია, როგორც, ვთქვათ, ორჯერ ორი ოთხიაო, და ზედა საქარის ფრუნეს სახ. კოლმეურნეობა დაავალდებულა—სოფ. ქვედა საქარის სტალინის სახ. კოლმეურნეობის წევრს დავით ნემსაძეს ღვინო რომ გამოართვით, იმ ღვინის ფასი ლიტრაზე 17 მანეთი მართალია. თუ ასე არ მოვიქცევით და 22 მანეთად გაყიდულ ღვინოს კოლწევრებს 9 მანეთობაზე გავუნაღდებთ, მაშინ პატივცემულ თავმჯდომარეს, ბოლშის კი ვიხდით და, კოლმეურნეობის სახელით სპეკულაცია გამოისდისო.

იტყვიცა ეს თავმჯდომარემ და უმაღლესში კა-

საცია აფრინა. უმაღლესიდანაც უმაღლესად მოახსენეს—ორჯერ ორი ოთხიაო. იტყვიცა კიდევ თავმჯდომარემ და საქ. იუსტიციის სამინისტროში საჩივარი გაგზავნა: ასე და ასე, მჩაგრავენო.

დავით ნემსაძე კი აღმასრულებელთან მივიდა: —აი, ჩემო ბიძია, ეს გადაწყვეტილება და ეს დადგენილება, ჩემი ფული გამინაღდებო.

—ვერ გაგინაღდებო, —უთხრა აღმასრულებელმა, —აღსრულება შეჩერებულია, შენს საქმეს იუსტიციის სამინისტრო არკვევსო.

შეამოწმეს საქმე. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ცკიტოშვილმა მხრები აიჩიზა და თქვა: აბა, ეს ხომ ისეთი ნათელი საქმეა, როგორც, ვთქვათ, ორჯერ ორი ოთხიაო, და საქმე ისევე ზესტაფონის სასამართლოში დააბრუნა.

მივიდა დ. ნემსაძე აღმასრულებელთან და თხოვა, —ჩემი ფული გამინაღდებო.

—ვერ გაგინაღდებო, —უთხრა აღმასრულებელმა, — შენი საქმე კიდევ გაითხოვა იუსტიციის სამინისტრომ, ამოწმებენო.

კიდევ შემოწმდა საქმე სამინისტროში. ახლა კი დაჩაგრულად სცნეს ზედასაქარელი თავმჯდომარე, და მინისტრის მოადგილე ცკიტოშვილმა ამჟამად უმაღლეს სასამართლოს წარდგინება მიართვა. გადასინჯა ცკიტოშვილის წარდგინება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხმალაძემ და თქვა: ეს რა უქნია ჩვენი მინისტრის მოადგილესო, ორჯერ ორი რომ ოთხია, ამის მტკიცება უსურვებიაო, და საქმე ისევე უტყველად დააბრუნა ზესტაფონის სასამართლოში.

მივიდა დ. ნემსაძე აღმასრულებელთან და ფულის განაღდება მოსთხოვა. გამოწერა აღმასრულებელმა ქვეთარი. წავიდა ნემსაძე ბანკში 19.008 მანეთის მისაღებად და ბანკში კი უთხრეს: სწორედ ახლა უმაღლეს სასამართლოდან სახალხო სასამართლოში დაურეკიათ, ფულს ნუ გასცემთ, აღსრულება შეჩერეთ და საქმე გადმოგვგზავნეთო.

დაბრუნდა საქმე უმაღლეს სასამართლოში, კიდევ გაეცნო ხმალაძე საქმეს და ახლა უკვე მკვი შეეპარა — შეიძლება ორჯერ ორი ოთხი არ იყოსო, დაწერა პროტესტი ზედწესით, წარადგინა უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში და საბოლოოდ აქ დაასვენეს: მართალია ეს საქმე ისევე ნათელია, როგორც, ვთქვათ, ორჯერ ორი ოთხიაო, მაგრამ საქმე მაინც დაირღვეს, ზესტაფონის სახ. სასამართლოს დაუბრუნდეს და იქ ერთხელ კიდევ შეამოწმონ, მართლა ოთხია თუ არაო. შეამოწმონ, თუ არ ეზარებათ.

ბ. ჯაბაძისი

ნან. გ. ფირცხალავასი



„მოკრილეული“

—პატივცემულო გიორგი ვარლამოვიჩ, ხომ არ გავიწროვებთ?

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა სერგო გრიგოლისძემ კონიაშიღმა ცოლის, მარო კონიაშიღლის განკარგულებაში გადასცა საექსპლოატაციოდ მსუბუქი მანქანა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მანქანის საგზურებსა და სამივლინებო ბარათებს მარო კონიაშიღი აწერს ხელს.



ცოლის ხელეში

დასაკიანებელი ჩაჩო

ახლა უკვე ძველებურად აღარ გამოიყურებოდა გაბრიელ ანტონიჩი. გაახსენდა თეოფილეს, რა ამბავი გადახდა ამ სურათის მოენახე, სანამ იგი მის „ზალას“ დაამშვენებდა. სამართველოს ერთ-ერთი რიგითი მუშაკი უფროსის მფარველობას დაეძებდა, ცდილობდა, ძალას არ ზოგავდა, გრძნობდა მისი ცოდნის პატრონი, უამისოდ შორს ვერ წავიდოდა.

— ბიჭო, დიპლომი რომ დაკარგო შემთხვევით, უმაღლეს განათლებას რაღათი დაამტკიცებ, პა?

„უმაღლესი ბოდიში, ნუ გედარდებათ, თეოფილე ყველას დაუმტკიცებს თავის ბიჭობას“, ორჯერ მიეცა საშუალება თავი გამოეჩინა სამსახურში... გვინდოდა გვეთქვა — მმართველის სამსახურში: ერთხელ, როცა გაბრიელს სიდედრი გარდაეცვალა, მეორედ — ბიციოლა; სამიმირის გამოცხადებისას შორსმჭვრეტელმა თეოფილემ ოდნავ მოუჭირა ხელი კირისუფლების გვერდით მდგომ აქვითინებულ მმართველს და ჩასჩურჩულა: „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას“.

გაბრიელ ანტონიჩი გახალისდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ქარაგმულად ნათქვამი „ვიზიარებ“, განა მისმა ხელქვეითმა არ იცოდა — მმართველი მიცვალებულებს ტიროდა, თუ დაკრძალვის ხარჯებს!

— მისი მწუხარების გაზიარება ახლა, ა, ესაა, — ჩაილაპარაკა თეოფილემ და საჩვენებელი თითი ცერს გაუსვამა მოუსვა.

ასეთი შეგნებული მოქმედების შემდეგ იგი მმართველის მარჯვენა ხელი შეიქმნა. ერთხელ თეოფილემ მასთან ოჯახში სტუმრად ყოფნისას ალბომიდან მმართველის სურათი მოიპარა, გაადიდებინა, ჩაჩო უყიდა და ზალაში დაჭკიდა. ამით კიდევ უფრო აამა გაბრიელს. მან ერთი თვის შემდეგ „მზარდი მუშაკი“ განყოფილების გამგედ დაწინაურდა, ახლა კი...

— დღეს ახალი მმართველი მყავს მოპატიუებულს, ეს სურათი რომ ჩემს ოჯახში კედელზე ჩამოკიდებული დახვდეს, ბაწარზე ჩამოსაკიდებლად გამიხდის საქმეს, — ჩაიბურტყუნა თეოფილემ, სურათი ჩამოგლიჯა და უკან მოისროლა.

გაბრიელ ანტონიჩმა ისეთი ზღართან მობადინა იატაკზე, რომ ხმაურზე შეფოთებული დიასახლისი შემოვარდა და გაოცებისგან შეჭკივლა:

- რატომ მოხსენი?
- მოხსენს!

— არ გაინძრეთ! — მოისმა მრისხანე ხმა. კარებში ახლად-არჩეული ადგილკომის თავმჯდომარე ნესტორი ქანდაკებასავით იდგა.

მოჭადრაკენი გაშეშდნენ. ერთმა მათგანმა თვალი გააპარა საათისაკენ, ისარი უჩვენებდა, რომ შესვენება 5 წუთის დამთავრებული იყო. „დავიღუპეთ“, გაიფიქრა მან და მოინდომა ფიგურების ყუთში ჩაყრა, მაგრამ...

— ხელი! — არაადამიანური ხმით იღრიალა ნესტორმა და მისი ასაკისა და წონისათვის შეუფერებელი ნახტომით მაგიდას მიაწყდა.

- კვალის დაფარვა გსურთ? ვერ მოგართვით...
- რა მოხდა, პატივცემულო ნესტორ, შესვენების დამთავრება ვერ შევნიშნეთ...
- რაო, იცი შენ რა ჩაიდინე?
- რა?
- რა და — დანაშაული.
- პატივცემულო ნესტორ, როგორ გეკადრებათ...
- პატივცემულო ნესტორ, პატივცემულო ნესტორ...

აბა იანგარიშე, დღეში ათასმა შენისთანამ რომ ხუთ-ხუთი წუთი მოიპაროს, რამდენი მილიონი შედგება? დანაშაული კი არა, ეს უფრო მეტიცაა.

— პატივცემულო ნესტორ, ჩვენ ეგ არც გვიფიქრია, რას ამბობთ?

— დიახ, დიახ, მე ამას ყველგან ვიტყვი და დაგიმტკიცებთ კიდევ.

— გვაპატიეთ, პირველი შემთხვევაა...

— არავითარ შემთხვევაში. ფაქტის წინაშე თვალებს ვერ დაგხუჭავ...

- ნუ გაახმაურებთ.
- ახლავე მოვახსენებ დირექტორს.
- ნუ დაგვლუპავთ.
- ველარაფერი გიხსნით, სამაგალითოდ დაისჯებით...
- პატ...
- იქ მოვილაპარაკებთ, იქ...

ამ სიტყვებთან ერთად ნესტორი ფრთხილად დასწვდა საჭადრაკო დაფას, ისე რომ ფიგურები არც კი შეურხევია, და დირექტორის კაბინეტისაკენ გააქანა.

— აი, ბატონო რაქდენ, რატომ არის ჩვენთან შრომის ნაყოფიერება დაბალი, რატომ ვერ ვასრულებთ გეგმებს. შემოწმების შედეგად, რომელსაც პირადად მე ვაწარმოებდი, გამოირკვა, რომ ჩვენი მუშაკები ამაში აცდენენ სამუშაო საათებს, არ იციან დროის ეკონომია...

დირექტორმა მკაცრი მზერა ჯერ ადგილკომის თავმჯდომარეს მიაპყრო, შემდეგ ჭადრაკის ფიგურების განლაგებას და ჩაფიქრდა.

— ვისი სვლა იყო? — იკითხა მან კარგა ხნის ფიქრის შემდეგ.

- რა ბრძანეთ?
- ვის ეჭირა-მეთქი ფიგურა ხელში, ამხანაგო, არ იცით?
- როგორ არა, ნოდარ ღლაგაძეს, თუ არ ცვდები — თეთრი ლაზიერი.

— კარგი, საკმარისია, — შეაწყვეტინა დირექტორმა და კვლავ დადუმდა. ნესტორი თვალეში შესცქეროდა დირექტორს, რათა წინასწარ გამოეცნო თუ რა სასჯელი გამოჰქონდა დამნაშავეებისათვის. ამ დროს დაწესებულების ხელმძღვანელს სახე გაუნათდა, მძიმე ხელით მსუბუქად დასწვდა თეთრების ლაზიერს და კაბინეტი შესძრა ალტაცებულმა შექანნილმა »შახი« — თან ნესტორს სავარძელზე მიუთითა. გოგნებულ ნესტორი სავარძელში ჩაეშვა. მერე უცებ გამოერკვა და მეფით სვლა გააქეთა, რათა თავი დაეღწია ცაიტნოტისათვის.

ჩვენს დაწესებულებაში მესამედ შემოვიდა საჩივარი ვინმე ჭანკვეტაძისაგან ერთ-ერთ თანამშრომელ ჩაჩანიძეზე, რომელმაც თითქოს ჭანკვეტაძის პალმებს საგანგებოდ დაასხა მდუღარე წყალი და გაახმო. ამ ამბის გამორკვევა მე დამევალა. ბევრი ვარკვიე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბოლოს გამახსენდა, რომ ერთი ჩემი სკოლის მეგობარი ვალიკო დუმბაძე პროკურატურაში მუშაობს და დიდი წარმატებებიც აქვს. პატარა დახმარებას როგორ დამამადლიდა. მართლაც ერთ კვირა დღეს ჭანკვეტაძეს მივუკაკუნეთ, კარები ორმოციოდღე წლის, თეთრი ხილაბანდით თავგაკრულმა კაცმა გაგვიღო.

— მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით! გაწუხებთ, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მაგ გაიძვრამ შეილივით ნაზარდი პალმები გამიხმო. თანაც ყოველდღე მათ ოჯახში ჩხუბმა ბავშვები დამიზაფრანა.

— როგორ, ცოლ-ქმარს უკმაყოფილება აქვთ? უთანხმოება ოქრომჭედლიძეს მგონი პირველ ცოლთან ჰქონდა.

— ორთავესთან, ბატონო, ორთავესთან.

— პირდაპირ გასაოცარია. — მივუბრუნდი ჩემს მეგობარს. — სამსახურში საოცრად წყნარი და თავაზიანი. რვა წელიწადი ჯარში იყო.

— ტყუილია, ბატონო, მტყნარი ტყუილი.

— რას ქვია ტყუილია, — აღვფოთიდი მე. — დანამდვილებით ვიცი, რომ ჯარში იყო.

— ჯარში კი იყო, მაგრამ იბრძოდაო, ესაა ტყუილი. დანამდვილებით ვიცი, ვაზიანიდან ფეხი არ გაუდგამს.

— საკმარისია, — მითხრა ვალიკომ და ორთავენი ფეხზე წამოვდექით.

— აბა, თქვენ იცით, როგორ კარგად შეისწავლით ამ საქმეს, მოწმეებსაც დაკითხეთ, პატივცემულ პროფესორ დავითს და ექიმ თოფურიას! — მოგვძახოდა ჭანკვეტაძე.

მეზობლებს ზოგი რამ გამოვკითხეთ და ქუჩაში გამოვედით.

— რას იტყვი? — შევეკითხე მეგობარს.

— აქ გამოსარკვევი არაფერია, — გაიღიმა მან. — პალმებს თვითონ ჭანკვეტაძემ დაასხა წყალი.

— ეგ როგორ? — დავაღე პირი გაციებისაგან.

— როგორ და უბრალოდ, ამ ოჯახებს შორის უკმაყოფილება დაწყებულა 1950 წლიდან, რასაც მოწმობს რადიო-ლა, რომელიც 1950 წელს არის ნაყიდი. ეს მე რადიოლას ტექნიკურ პასპორტში ამოვიკითხე.

— რა შუაშია რადიოლა?

— სწორედ რომ შუაშია, იგი დგას იმ კედელთან, რომელსაც ესაზღვრება

ჩაჩანიძის სამუშაო კაბინეტი. თუ დააკვირდი, კედლები ადვილად ატარებენ ხმას, და თუ მივიღებთ მხედველობაში იქ დალაგებულ ფირფიტებს, აგრეთვე ჭანკვეტაძის მეუღლის ხასიათს, საკითხი გარკვეულია.

— კი მაგრამ, რა შუაშია ეს ყველაფერი?

— ეს მხოლოდ დასაწყისია მათი უთანხმოებისა. სხვათა შორის, თუ შეატყვევ, ჭანკვეტაძე ნაჩხუბარი იყო თავის ცოლთან!

— არა, არ შემიტყვი. ეგ როგორღა დაასკვნე?

— ეს სრულიად ადვილი მისახვედრია. შენც კარგად დანიხე, რომ ჭანკვეტაძეს თავი ჰქონდა შეხვეული, ეს მისი ცოლის დამსახურებაა. ტანზე კი ქუჭყიანი, ღვინოგადასხმული, გაცრეცილი კიტელი ეცვა.

— კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ ჭანკვეტაძეს ცოლმა გაუტეხა თავი?

— უბრალოდ გამოვიცანი, — გაიცინა ვალიკომ. — ბუფეტის წინ სერვიზს ერთი თეფში აკლდა. როცა მე სერვიზს თვალი შევაგლე, ჭანკვეტაძის მეუღლე უხერხულად შეიმუშნა. როგორც ჩანს, ეს ჩხუბი მოხდა ხუთი დღის წინ. ხომ გახსოვს, ჩაჩანიძეს რიგის ახალი ავეჯი შეუძენია, ქვითარი მოწმობდა, რომ ხუთი დღის წინ არის იგი მოტანილი.

ზარმასხუბის პრობლემა

ნახ. ნ. მალაზონიასი



— ეხ, ჩემო ია, ეს დაუსწრებელი ინსტიტუტი კი დავამთავრეთ, მაგრამ დაუსწრებელი სამსახური სადღა ვიშოვოთ?

დამეთანხმები, რომ ეს კარგი საზღაბი იყო ჭანკვეტაძის მეუღლისათვის, რათა ქმრისთვის შავი დღე დაეწინებინა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოწმეები რომ ჭანკვეტაძის სასარგებლოდ დააპარაკობენ?

— იმ ექიმის ნალაპარაკებს არ უნდა დავენდოთ, რადგან თვითონ მას ამ ათიოდე დღის წინ მოსვლია ჩხუბი ჩაჩანიძესთან.

— ეგ ვინლა გითხრა?!

— ელექტროდენის აღმრიცხველმა. შენ, რასაკვირველია, არ დააკვირდებოდი, მე კი, როგორც სპეციალისტს, ყველა ნივთი რაღაცას მეუბნება. ჩაჩანიძეს უდგას ძველი ტიპის აღმრიცხველი, იმ ექიმს კი ეტყობა, რომ ათიოდე დღის წინ გადაურთავს ხაზი თავის საკუთარ, ახალი ტიპის აღმრიცხველზე, რაც მოწმობს, რომ მათ ჩხუბი მოსვლიათ ფულის გადახდის თაობაზე.

— კი მაგრამ, იქნებ ჩაჩანიძე ტყუის?!

— ეგეც შესაძლებელია, მაგრამ იმ ექიმის ბინაში სამი ელექტროქურა, ტელევიზორი, რადიომიმღები, უთოები და სხვა მაგ მოსაზრების საწინააღმდეგოს დაპარაკობენ.

— ყოჩაღ, ვალიკო, შენ ვირტუოზი ხარ! მაგრამ პროფესორი? ნუთუ ისიც ტყუის?

— ადვილი შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ მას სურს შეისყიდოს ჭანკვეტაძის ბინა. ჭანკვეტაძეს კი ბინის გადაცვლა სურს. ჩემის აზრით, მას უკვე აქვს საკუთარი ბინა საბურთალოზე.

— ეგ როგორღა დაასკვნე, რომ ჭანკვეტაძეს უნდა ბინის გაყიდვა და რომ მას ბინა უკვე აქვს საბურთალოზე?

— ამას მისი უფროსი შვილის რვეულებზე სკოლის ნომერი გვიჩვენებს.

— კი მაგრამ, იქნებ შვილი სხვა მიზეზების გამო სწავლობს იქ?

— ნუ ზეიმობ გამარჯვებას. ადვილი შესაძლებელია, შვილი იქ სხვა მიზეზების გამო სწავლობდეს, მაგრამ ეს სახლი კომუნალურია. ჭანკვეტაძეს არა აქვს ბინის გაყიდვის უფლება.

— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა შუაშია პალმები?!

— სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ჭანკვეტაძეს უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მას აღარ ედგომება მეზობლებთან და სურს მიიღოს ბინიდან გადასვლის უფლება. ამაში ხელს უწყობს პროფესორი, რომელიც დინტერესებულია ბინით, და თანხის საკმაო რაოდენობის ხაზრით ჭანკვეტაძე დაუთმობს მას ბინას.

— არამზადა! — აღმოჩნდა აღვფოთებულს, — შენ კი ნამდვილი ეშმაკის ფეხი ყოფილხარ! — ვუთხარი ალტაცებულმა მეგობარს.

უბის წიგნაკში ჩაჩანიძის გვარის გასწვრივ კითხვის ნიშანი გადავშალე და მივაწერე — საკითხი გარკვეულია.

ამოსანები

თავითონ უკეთ იყოს

ჰინ რა თქვა

№ 1. საწყობის გამგემ სულ გვერდიდან გააღა-
გა, რაც საწყობში კარგი საქონელი იყო.
კითხვა: ექნება თუ არა მას ამის შემდეგ
სინდისი?
პასუხი: არ ექნება, რადგან სინდისი კარგი
საქონელია.

№ 2. შეყვარებული წვეილი ცივად დაცილდა
ერთმანეთს.
კითხვა: მაინც ვინ იქნება დამნაშავე ამ ორ
პირს შორის?
პასუხი: დამნაშავე იქნება მესამე პირი.

№ 3. არითმეტიკის სახელმძღვანელოში ზოგ-
ჯერ დამახინჯებულადაა შედგენილი ამოცანები.
კითხვა: ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი?
პასუხი: პასუხს მოსთხოვენ მოსწავლეს.

№ 4. დისერტაციას სამეცნიერო საბჭოს წევ-
რებიდან 9-მ დადებითი შეფასება მისცა, ერთმა
კი — უარყოფითი.
კითხვა: მიხედება თუ არა დისერტანტი, ვინ
პირდა ველს?
პასუხი: ვერ მიხედება, რადგან ათივე წევ-
რი მივა და გამარჯვებას მოულოცავენ.

№ 5. ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ერთ
ადგილზე 9 აბითურიენტმა ჩააბარა.
კითხვა: საინტერესოა, ვინ გამოიცადა ყვე-
ლაზე მეტად?
პასუხი: ყველაზე გამოცდილი აღმოჩნდა
ჩარცხული აბითურიენტის მამა.

არალი თაყაიშვილი

ნახ. დონისა



— მიშველეთ, ექიმო, თქვენი ნახე-
ლავი კბილები ჩამემტვრა.
— მეც ასე ვფიქრობდი, რაკი ბუ-
ნებრივმა ვერ გაგიძლოთ, ხელოვნური,
მით უმეტეს, ვერ გაგიძლებდათ.

პოეტი თბილისიდან რუსთაველი გადასახლდა,
რუსთაველი გაგზავნილი.

გადამყიდველმა თქვა — კოორდინატორულ
ფასებს ვაქვებ-ვაღიდეზ და მაინც დანაშაუ-
ლად მითვლიანო.

უქნარამ თქვა — რუსთაველზე დღომას
ვენაცვალე და მამის კისერზე უღომასო.

ნოქარამ თქვა — მე ვიტან და კანონი
ვერაო.

დაზიანებულმა შენობამ თქვა —
ჭერი და ბანი აღარ გამჩანია და სახლმმართველი
ჩემს შესახებ სიტყვას მა-ნც ბანზე აგდებსო.

ვეტქვიში სულ იმას გაიძახოდა — ფერმის
ქათმის ჭირიმეო, და ჭირი მაინც ქათმებს
უჩნდებოდაო.

თბილისის დინამოსათვის ხურთის
გატანა წამებვის საქმეაო.

გამყიდველს ცოლი არიგებდა, ისიც
კარგ საქონელს ნათესავეებს შორის არიგებდა, მაგ-
რამ საკითხავია: ნუთუ მილიცია არ იგებდა, რომ
მომხმარებელი ამით არაფერს არ იგებდა.

მზატანსაცმელმა თქვა — არ ვვარგი-
ვარ, რადგანაც არ ვარ გივარო.

ჩაიწერა ვახტანგ ჯავახიშვილმა

სამართალი

(იგავი)

დათვის, მგელსა და მელიას, ხარითა და ბათქანით
ერთხელ გზაზე შემოხვდათ პაწაწინა ბატკანი.
— ყველას როგორ გვეყოფა, — იწყო მელამ ტატანი, —
სამწილად რომ გავხლიჩოთ, სამართალი სად არის?
ვინც ჩვენში უფროსია, მისი იყოს ბატკანი!
ულუფაზე ჩაფიქრდა თვითვეული მათგანი;
სიტყვა მგელმა დაასწრო, რუხი მეტად ფიცხობდა:
— დღეს ხუთასი წლის გავხდი, — (მეტი თვლაც არ იცოდა.)
— ოპო, მგელო, მგელუკავ, — უპასუხა მელუკამ, —
შენი პაპის ქორწილში, სუყველაზე პარმაგი,
კაცი ქვეყნად ცნობილი ჭკუითა და ამაგით,
თუმც პატარა ტანადა, —
მე დამნიშნეს თამადად.


— შენ რას ფიქრობ, დათუნავ, სამართალი სად არის? —
— ამას ფიქრი რად უნდა, — დათვმა იწყო დანდალი. —
მელავ, ჩემზე დიდი ხარ, მგელო, ჩემზე დიდი ხარ.
თუმც, იცოდეთ ორივემ, ფეხებზეც არ მკიდიხართ!
არ ვყოფილვარ თქვენებრი უნამუსოს მნახველი;
სულ ექვსი თვის ბელი ვარ, აბა ხელი ახელით! —
დათვი, მგელი, მელია, ჭამად ყველა მზად არის,
ბატკანს არას კითხავენ, სამართალი სად არის?
* * *

ზოგ ფერმაში რევიზორს, გამგესა და ბუხალტერს
ბატკნისათვის ამგვარი დავა უყვართ მუდამდღე.

ჯ. ჩაკვიანი



ნახ. გ. გაბაშვილისა



**ხანძრობიას
თაყაი**

1. ნოლი ერთია? გვიშველეთ, ცაცხ-
ლი გვანადგურებს!
2. მოხვედით? ერთით ნოლი, ახმა-
ნაგო მენახრებო!
3. აფსუს, „ჩავვარდი“ — 1:15-ზე
წავაგე.

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე. **სარედაქციო კოლეგია:** აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, თ. ქელიძე, ს. ფაშალიშვილი. **ს.კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

თბილისი, სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პარკი, № 42 ბელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 8, ხელმოწ. დასაბ. 19/IV-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 471. უფ. 00902. ტირ. 30.000.



დეკლარაცია
 არ დაივიწყოთ
 მასწავლებლებთან
 ერთად.

თბილისის
 სასახლე

ტყევის
 სახლი

სამხარის
 სასახლე

თბილისის
 სასახლე

კურსის
 მართვა

ფოსტალიონი — გამოიხედეთ, უველას სახელზე ერთი დებეშაა მოხული!